**საგადახდო ბარათებით ხელფასების გაცემაზე საწარმოს/ორგანიზაციის საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების შესახებ**

**ხელშეკრულება №13920000011** **01.01.2015წ.**

ერთის მხრივ , საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების , ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი შემდგომში - „კლიენტი", წარმოდგენილი დირექტორის გელა ზოიძის სახით, და, მეორეს მხრივ, სს „პრივატბანკი", შემდგომში - „ბანკი", წარმოდგენილი სერვის-ცენტრის მმართველის, გელა ზარნაძის სახით, რომელიც მოქმედებს (№ 2014 წლის 13 მარტი გაცემული №Э.TAO.0.0.0.0/1-869 მინდობილობის საფუძველზე) მინდობილობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე „ხელშეკრულებას" შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1„ბანკი" ახორციელებს „კლიენტის" საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებას „კლიენტის" თანამშრომელი-ფიზიკური პირებისთვის საბარათე ანგარიშების გახსნის სახით, საერთაშორისო საგადახდო სისტემების (შემდგომში - „საერთაშორისო საგადახდო სისტემები") საგადახდო ბარათების გამოყენებით მათდამი ხელფასებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სახის გადახდების გადახდის მიზნით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტების, „საერთაშორისო საგადახდო სისტემების" წესების და („ბანკის" ვებ-გვერდზე (http://www.privatbank.ge ) განთავსებული) საბანკო მომსახურების გაწევის პირობებისა და წესების შესაბამისად. წინამდებარე „ხელშეკრულების" ხელმოწერით „კლიენტი" აცხადებს თანხმობას („ბანკის" საიტზე (http://www.privatbank.ge ) განთავსებულ) საბანკო მომსახურების გაწევის პირობებსა და წესებთან, ასევე როგორც „ბანკის" ტარიფებთან მიმართებით, რომლებიც წინამდებარე „ხელშეკრულებასთან" ერთად წარმოადგენენ საბანკო მომსახურების ხელშეკრულებას, და უერთდება მათ, და კისრულობს ვალდებულას, შეასრულოს საბანკო მომსახურების გაწევის პირობებისა და წესების თანახმად განსაზღვრული პირობები.

**CPV66100000**

1.2 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას, საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო მომსახურების გაწევის წესის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

**2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები**

**2.1. კლიენტი უფლებამოსილია:**

2.1.1. იშუამდგომლოს თავისი თანამშრომლებისადმი სახელფასო საგადახდო საბანკო ან საერთაშორისო საგადახდო სისტემა „VISA"-ს ბარათების, ასევე როგორც დამატებითი ბარათების გაცემის და დამატებითი მომსახურების გაწევის თაობაზე.

**2.2. ბანკი უფლებამოსილია:**

2.2.1. იზრუნოს „კლიენტის" ტერიტორიაზე საგადახდო ბარათებით მომსახურების ქსელის შექმნაზე;

2.2.2. შეიტანოს ცვლილებები ტარიფებში და შეატყობინოს „კლიენტს" ცვლილებების შესახებ, „ბანკის" საიტზე (http://www.privatbank.ge) ინფორმაციის განთავსების გზით;

2.2.3. „ხელშეკრულების" მოშლის შესახებ „კლიენტისგან" წერილობითი შეტყობინების მიღების შემთხვევაში:

2.2.3.1. შეამციროს საკრედიტო ლიმიტები „კლიენტის" თანამშრომლების საკრედიტო ბარათებზე, საბანკო პროცედურების თანახმად დადგენილ დონემდე;

2.2.3.2. „კლიენტის" თანამშრომლების საკრედიტო ბარათებზე დავალიანების არსებობის შემთხვევაში, განახორციელოს მისი დაფარვა „კლიენტის" თანამშრომლების სახელფასო ბარათებიდან სახსრების ჩამოჭრის გზით.

**2.3. კლიენტი ვალდებულია:**

2.3.1. სახსრების გადარიცხვის დღემდე, ელექტრონული სახით გადასცეს „ბანკს" ხელფასების განაწილების უწყისი დისტანციური მომსახურების სისტემების მეშვეობით (შემდგომში - „დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემები"), რომლებიც წარმოდგენილ იქნება „ბანკის" მიერ საბანკო მომსახურების გაწევის პირობებისა და წესების თანახმად „ბანკის" მიერ დადგენილ ფორმატში. იმ შემთხვევაში, თუ „კლიენტი" წარმოადგენს ამგვარ უწყის არა „დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემების" მეშვეობით, მან, სახსრების გადარიცხვის დღემდე სულ მცირე 1 საოპერაციო დღით ადრე, უნდა წარმოადგინოს უწყისი ელექტრონული სახით, ასევე როგორც მისი ასლი ქაღალდის მატარებელზე, რომელიც ხელმოწერილ უნდა იქნას უფლებამოსილი პირების მიერ და დამოწმებულ უნდა იქნას ბეჭდით.

**2.4. ბანკი ვალდებულია:**

2.4.1. „კლიენტის" მიერ „დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემების" მეშვეობით ელექტრონული სახით ხელფასების განაწილების უწყისის წარმოდგენის შემთხვევაში, ჩარიცხოს სახსრები „კლიენტის" თანამშრომლების გახსნილ საბარათე ანგარიშებზე საპროცესინგო ცენტრის მუშაობის მოქმედი რეგლამენტის თანახმად და 2.3.1 პუნქტის შესაბამისად ხელფასების განაწილების შესახებ ცნობის წარმოდგენის პირობით. იმ შემთხვევაში, თუ „კლიენტი" ხელფასების განაწილების უწყისს წარმოადგენს არა „დისტანციური საბანკო მომსახურების სისტემების" მეშვეობით, „ბანკი" იძლევა გარანტიას მასზე, რომ ჩარიცხავს სახსრებს „კლიენტის" თანამშრომლების საბარათე ანგარიშებზე საპროცესინგო ცენტრის მუშაობის მოქმედი რეგლამენტის თანახმად „ბანკში" სახსრების გადარიცხვის მომდევნო საოპერაციო დღის განმავლობაში.

**3. მხარეთა პასუხისმგებლობა**

3.1. წინამდებარე „ხელშეკრულების" პირობების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.2. „კლიენტის" თანამშრომლების საბარათე ანგარიშებზე განხორციელებულ ოპერაციებთან დაკავშირებით საბანკო საიდუმლოს დაცვაზე „ბანკი" პასუხისმგებელია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**4. უთანხმოებების მოგვარება და სადაო საკითხების განხილვა**

4.1. წინამდებარე „ხელშეკრულების" საფუძველზე და მასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ყველა სადაო საკითხი და უთანხმოება შეძლებისდაგვარად გადაწყვეტილ იქნება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით.

4.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, სადაო საკითხები და უთანხმოებები ექვემდებარება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად გადაწყვეტას.

**5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ცვლილებებისა და მოშლის წესი**

5.1. წინამდებარე „ხელშეკრულება" ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს სამი წლის განმავლობაში.

წინამდებარე „ხელშეკრულების" მოქმედების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით რომელიმე მხარის მიერ „ხელშეკრულების" მოშლის სურვილის შესახებ მეორე მხარისადმი წერილობითი შეტყობინების წარუდგენლობის შემთხვევაში, წინამდებარე „ხელშეკრულება" ითვლება გაგრძელებულად იმავე პირობებითა და ვადით.

წინამდებარე „ხელშეკრულების" ვადაზე ადრე მოშლა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების საფუძველზე. ამგვარი მოშლისას ყოველი მხარე ვალდებულია შეასრულოს მეორე მხარის წინაშე ნაკისრი ყველა თავისი ვალდებულება. საბარათე ანგარიშების დახურვისა და „ბანკში" ბარათების დაბრუნების შემდეგ, მათი მომსახურების გადასახადი არ ექვემდებარება გადახდას. „ბანკი" არ ახორციელებს ბარათების მომსახურებაზე ადრე წარმოებული გადახდების თანხების დაბრუნებას.

წინამდებარე „ხელშეკრულება" შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ იდენტურ ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი - ყოველი მხარისათვის, და ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან.

**6. ფორს-მაჟორი**

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე "ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, თუ ამგვარი შეუსრულებლობა წარმოიქმნა სახელმწიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ამკრძალავი მოქმედებების ან დაუძლეველი ძალის მქონე გარემოებების შედეგად, რომლებზეც მხარეებს არ შეუძლია ზეგავლენის მოხდენა და მათ არ ეკისრება პასუხისმგებლომა მათი წარმოქმნისათვის, კერძოდ, როგორებიცაა: ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, საომარი მოქმედებები, გაფიცვა და ა.შ.

**7. დანართები**

დანართი 1. საგადახდო ბარათებით ხელფასების გაცემაზე საწარმოს/ორგანიზაციის საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების შესახებ განცხადება

**8. მხარეები, მათი იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

**კლიენტი**
საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების , ინვესტიციების,
ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის

განვითარების ცენტრი
რეგისტრაციის № B14110449 / ოკპო კოდი 233733984
საქართველო, ლანჩხუთი, კოსტავას ქ.,N37

------ ------

ბ.ა.

**ბანკი**
სს "პრივატბანკი"
**მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისი 0119, ა. წერეთლის გამზ., 114

---------------

ბ.ა.

**განაცხადი საბანკო ბარათებით ხელფასების გაცემაზე საწარმოს/ორგანიზაციის საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების შესახებ**

**ორგანიზაციის მონაცემები**

ორგანიზაციის სრული დასახელება: საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების , ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრი

საიდენტიფიკაციო კოდი: 233733984

---

**საბანკო ანგარიშები**

ხელფასისა და სხვა ჩარიცხვებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით უნაღდო ჩარიცხვის საკომისიო: 45010020111522

---

**ტარიფი**

სატარიფო პაკეტის დასახელება: Класичний

პრივატ 24–ით ხელფასის ჩარიცხვის საკომისიო: 0.0 %

სახელფასო ბარათის გაფორმების საკომისიო: 0.00 %

საბარათე ანგარიშზე არსებულ სახსრებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი: 0.00 % ლარი

---

**რეკვიზიტები**

ბანკის დასახელება: სააქციო საზოგადოება "პრივატბანკი", 0119, საქართველო, ქ.თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №114, საიდენტიფიკაციო კოდი: 203838678, ბანკის კოდი: CAVOGE22

ამ განაცხადზე ხელმოწერით ვეთანხმები საანგარიშსწორებო ბარათით ხელფასების გაცემაზე საწარმოს/ორგანიზაციის საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურების მითითებულ ტარიფებს

**ბანკი**
**დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კანდაუროვა ჩური ვასილის ძე მოქმედებს საფუძველზე**

ბეჭდის ადგილი (ხელმოწერა)

**კლიენტი**
**სახით**

(თანამდებობა, სახელი გვარი)

**მოქმედებს საფუძველზე**

ბეჭდის ადგილი (ხელმოწერა)